

შპს “ბესთსერვისი”

ფინანსური ანგარიშგება
31 დეკემბერი 2023 წ.

შინაარსი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში..... 1

ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 2

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება..... 4

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება..... 5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები..... ..6-15

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “ბესტსერვისის” (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2024 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

ავთანდილ ღლონტი

შპს „ბესთსერვისის“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	<u>10</u>	4,640,691	4,971,088
თვითღირებულება	<u>11</u>	(3,860,121)	(4,093,509)
საერთო მოგება		780,569	877,579
სხვა შემოსავლები		2,205	6,135
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	<u>15</u>	(677,566)	(580,497)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	<u>13</u>	(48,442)	(55,101)
სხვა ხარჯები	<u>14</u>	(67,570)	(12,808)
საოპერაციო მოგება		(10,804)	235,309
ფინანსური შემოსავალი		52	2,124
ფინანსური ხარჯი	<u>12</u>	(12,215)	(6,163)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		32,770	25,625
მოგება დაბეგვრამდე		9,803	256,894
მოგების გადასახადი	<u>16</u>	(7,245)	(12,167)
წმინდა მოგება		2,558	244,727
სხვა სრული შემოსავალი: გადაფასების რეზერვი			
მთლიანი სრული შემოსავალი		2,558	244,727

დირექტორი

ავთანდილ ლლონტი

შპს „ბესთსერვისის“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)	შენიშვნა	2023	2022	2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	162,753	109 924	115 598
არამატერიალური აქტივები	8	1,521	1 799	1 273
სულ გრძელვადიანი აქტივები		164,273	111 723	116 871
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	40,562	27 499	21 130
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	560,672	255 356	110 033
მარაგები	3	294,489	368 640	243 427
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		9,168	6 625	66 983
მისაღები პროცენტები		-	4 248	2 124
წინასწარ გადახდილი გადასახადები		-	3 404	
გაცემული სესხები		-	42 422	48 632
სულ მოკლევადიანი აქტივები		904,891	708 194	492 329
სულ აქტივები		1,069,164	819 917	609 200
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		586,929	625 423	447 188
გადაფასების რეზერვი				
სულ კაპიტალი		586,929	625 423	447 188
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	9	223,148	115 376	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	255,692	51 132	550
მიღებული ავანსები		2,026	27 986	158 323
საგადასახადო ვალდებულებები		1,370		3 140
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		482,236	194 494	162 012
სულ ვალდებულებები		482,236	194 494	162 012
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,069,164	819 917	609 200

დირექტორიავთანდილ ლლონტი

შპს „ბესტსერვისის“
 ფინანსური ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	447 189	447 189
წმინდა მოგება	-	-	244 727	244 727
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	244 727	244 727
გაცემული დივიდენდი	-	-	(68 947)	(68 947)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	2 455	2 455
2022 წლის 31 დეკემბერი	-	-	625 423	625 423
წმინდა მოგება	-	-	2,558	2,558
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,558	2,558
გაცემული დივიდენდი	-	-	(41,052)	(41,052)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	586,929	586,929

დირექტორი

ავთანდილ ლლონტი

შპს „ბესტსერვისის“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		2 558	244 727
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		39 750	23 168
- ცვეთა	7/8	27 587	23 168
		(52)	
		12 215	
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(50 333)	(296 477)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	(305 315)	(145 324)
- მარაგები	3	74 151	(125 213)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6	204 560	50 582
- მიღებული ავანსები		(25 960)	(130 337)
- მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		(2 543)	60 358
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		1 370	(3 140)
- წინასწარ გადახდილი გადასახადები		3 404	(3 404)
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(8 026)	(28 582)
- გადახდილი საპროცენტო ხარჯი	12	(8 737)	(582)
- მიღებული საპროცენტო შემოსავალი		52	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(16 711)	(29 164)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	7/8	(80 137)	(18 020)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	7/8	-	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა			
გაცემული სესხები		42 422	6 211
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(37 716)	(11 809)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)			
- სასესხო ვალდებულებების ზრდა		107 772	115 376
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა	9		
- გადახდილი დივიდენდები		(39 000)	(65 500)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		68 772	49 876
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		(1 282)	(2 534)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა სხვაობა		13 062	6 369
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში		27 499	21 130
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს		40 562	27 499

დირექტორი

ავთანდილ ლლონტი

შპს „ბესტსერვისი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 ქართულ ლარში

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბესტსერვისი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 206339005 დარეგისტრირდა საქართველოში, თბილისში 2009 წლის 26 თებერვალს. კომპანიის იურიდიული მისამართია ისანი-სამგორის რაიონი, ლალიძის ქ., №6, ბ. 5ა, თბილისი, საქართველო. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აგროქიმიკატების, სასუქების სათესლე მასალის და დამხმარე პროდუქციის რეალიზაცია, კომპანია ოპერირებს საქართველოს ტერიტორიაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულთა საშუალო რიცხვი შეადგენდა 27 (2022-27) თანამშრომელს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დამფუძნებელ პარტნიორთა შორის წილები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მესაკუთრე	2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ავთანდილ ღლონტი	100%	100%

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად მენეჯმენტმა გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო ცოდნა და სააღრიცხვო პოლიტიკა რომლის მიხედვითაც მომზადდა მსს ფასს სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი ფინანსური ანგარიშგა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანია იყენებს ისტორიული ღირებულების პრინციპს, სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკა და გამოყენებული პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია მსს ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

ორგანიზაცია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის

შპს „ბესტსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე.

შეფასების საფუძველი

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების ღირებულებისა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით შემდეგნაირად:

ოფისის აღჭურვილობა	2 - 10 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3 - 10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 - 15 წელი

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და მიეკუთვნება „სხვა შემოსავლებს“ ან „სხვა საოპერაციო ხარჯებს“.

არამატერიალური აქტივები

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და დაგროვილ ამორტიზაციას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით. ამორტიზაცია ხდება მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების შვიდ წლამდე ვადის განმავლობაში, წრფივად წლიური 15%-იანი განაკვეთით. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის ნარჩენ ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ არაფინანსური აქტივის, გარდა გუდვილისა, გაუფასურების ზარალი მცირდება, აქტივის (აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება ახალ მოსალოდნელ ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ არაუმეტეს იმ ღირებულებისა, რომელიც ამ აქტივს ექნებოდა, რომ არ მომხდარიყო ამ აქტივისათვის (აქტივთა ჯგუფისათვის) გაუფასურების ზარალის აღიარება წინა წლებში. გაუფასურების ზარალის შემცირება აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შპს „ბესტსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტის ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს აქტივებს, რომელთა გადაცვლა ფულზე წინასწარ ცნობილი ოდენობით შესაძლებელია დაუბრკოლებლად და ამასთან, მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ანარიცხები და პირობითი აქტივები/ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ როდესაც, კომპანიას წარსული მოვლენების შედეგად საღირცხვო პერიოდისათვის აქვს ვალდებულება. შესაძლოა კომპანიის მიმართ გაჩნდეს მოთხოვნა, რომ გადაიტანოს თავისი ეკონომიკური სარგებელი და ვალდებულების მოცულობა შესაძლოა შეფასდეს საიმედოდ. ანარიცხები იზომება საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით ვალდებულების შესასრულებლად საჭირო მოცულობის დღევანდელი ღირებულებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და კონკრეტული ვალდებულების რისკებს. ანარიცხების ზრდა, დროის გასვლის გამო, აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი. ანარიცხების აღიარება არ ხდება მომავალ საოპერაციო დანაკარგებზე.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები არ აღიარდება.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი, სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, პირდაპირ სახელფასო დანახარჯებთან, საწყობის ცვეთასთან.

გაცემული სესხები და მოთხოვნები. სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც კომპანია გასცემს თანხას კლიენტზე არაკოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

შემოსავლის აღიარება

(ა) შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

(ბ) საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან

საბანკო დეპოზიტებიდან გამომდინარე საპროცენტო შემოსავლების გაანგარიშება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება საკასო მეთოდით საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის მიღების მომენტისათვის.

შპს „ბესტსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

საოპერაციო ხარჯები

(ა) თანამშრომელთა სახელფასო და სხვა სარგებელი

დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი ვალდებულებები.

(ბ) იჯარა

საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში

სესხის ხარჯები

სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894	2.9753
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020	2.8844

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი წარმოიშობა არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებულ მოგებაზე, არამედ მოგებაზე რომლის განაწილებაც მოხდება დივიდენდებზე. დივიდენდის განაწილებისას გადასახდელი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება განაწილებული მოცულობის 15/85-ით. დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება საბოლოოდ დივიდენდების გაცემა.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

შპს „ბესტსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

საწესდებო კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

კომპანიის აღიარებული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიხედვით. ცვლილებები ჯგუფის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ დამფუძნებელი პარტნიორის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით.

გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

შენიშვნა-3	მარაგები	31.12.2023	31.12.2022
	ნედლეული	324	2 255
	საქონელი	294 165	366 385
		294 489	368 640
შენიშვნა-4	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		
		31.12.2023	31.12.2022
	სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	560 623	255 356
	სხვა მოთხოვნები	49	-
		560 672	255 356
შენიშვნა-5	ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები		
		31.12.2023	31.12.2022
	ფული სალაროში	8 338	1 799
	ფული საბანკო ანგარიშებზე	32 224	25 700
		40 562	27 499
შენიშვნა-6	სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		
		31.12.2023	31.12.2022
	სავაჭრო ვალდებულებები	255 692	51 132
	გადასახელი ხელფასები	-	-
	სხვა ვალდებულებები	-	-
		255 692	51 132

შპს „ბესტსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

შენიშვნა-7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა	ჯამი
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	2 629	44 193	148 048	16 028	210 899
შესყიდვა	-	16 234	61 465	2 138	79 837
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-
გაუფასურება				-	-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია		-			-
გადაფასების რეზერვი					-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	2 629	60 428	209 513	18 166	290 736

დაგროვილი ცვეთა

2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	808	31 299	59 196	9 673	100 975
ცვეთის ხარჯი	325	7 483	17 372	1 828	27 008
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია			-	-	-
გასული/ჩამოწერილი აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-		-	-
2023 წლის ბოლოს მდგომარეობით	1 133	38 782	76 568	11 501	127 983
საბალანსო ღირებულება					
2022 წლის ბოლოს	1 821	12 895	88 852	6 356	109 924
2023 წლის ბოლოს	1 496	21 646	132 945	6 666	162 753

შპს „ბესტსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

შენიშვნა-8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამები	ლიცენზიები	სხვა	ჯამი
2022 წლის ბოლოს	9 804	-	-	9 804
შემოსავლა	300			300
გასვლა				-
2023 წლის ბოლოს	10 104	-	-	10 104
დაგროვილი ამორტიზაცია				
	8 005	-	-	8 005
2022 წლის ბოლოს				
პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი	578			578
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია				-
2023 წლის ბოლოს	8 583	-	-	8 583
საბალანსო ღირებულება				
2022 წლის ბოლოს	1 799	-	-	1 799
2023 წლის ბოლოს	1 521	-	-	1 521

კომპანია ფლობს კომპიუტერულ პროგრამას „FINA“.

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა დღგ-სთან დაკავშირებით დაამტკიცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში სხვა ცვლილებები. 2017 წლის 1 იანვრიდან, დღგ-ით დაბეგვრას დაექვემდებარა საქონლის ან მომსახურების შემძენისაგან მიღებული ავანსები.

შენიშვნა-9 მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მოკლევადიანი სესხები	223 148	115 376
გრძელვადიანი სესხები	-	-
სულ	223 148	115 376

მოკლევადიანი სესხის დაფარვის ვადაა 2024 წლის 9 თებერვალი. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 7%-ს.

შენიშვნა-10 ამონაგები

ლარი	31.12.2023	31.12.2022
საქონლის რეალიზაცია	4 640 691	4 971 088
მომსახურების რეალიზაცია	-	-
	4 640 691	4 576 042

შპს „ბესტსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
ქართულ ლარში

შენიშვნა-11 თვითღირებულება

ლარი

საქონლის თვითღირებულება

მომსახურების თვითღირებულება

31.12.2023

31.12.2022

3 860 121

4 093 509

-

-

3 860 121

4 093 509

შენიშვნა-12 ფინანსური ხარჯი

ბანკის სესხის პროცენტი

სხვა ფინანსური ხარჯები

31.12.2023

31.12.2022

8 737

582

3 478

5581

12 212

6 163

შენიშვნა-13 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

სარეკლამო ხარჯები

საწვავის ხარჯი

სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი

რეალიზაციის დანახარჯები

31.12.2023

31.12.2022

1 103

63

46 839

55 038

500

-

-

-

48 442

55 101

შენიშვნა-14 სხვა ხარჯები

ლარი

მოგების გადასახადის ხარჯი -კანონმდებლობის
თანახმად

ქონების გადასახადი

ჩაუთვლელი დღე

საექვო მოთხოვნებთან დაკავშირ. ხარჯები

31.12.2023

31.12.2022

614

985

1 363

1 128

11 029

10 695

54 564

10 695

67 570

12 808

შპს „ბესტსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

შენიშვნა-15 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2023	31.12.2022
შრომის ანაზღაურება	440 941	365 166
ცვეთა და ამორტიზაცია	27 587	23 168
საპენსიო ხარჯი	6 828	5 468
საკონსულტაციო ხარჯი	1 115	946
რემონტის ხარჯი	3852	-
ბანკის მომსახურება	22 981	28 988
იჯარის ხარჯი	132 526	111 900
მივლინების ხარჯები	396	-
კომუნიკაციის ხარჯები	7 252	6 973
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	34 088	37 888
	677 566	580 497

მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31.12.2023	31.12.2022
მიმდინარე მოგების ხარჯი	7 245	12 167
	7 245	12 167

შენიშვნა-16 მიმდინარე მოგების ხარჯი

ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- **საკრედიტო რისკი:** დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
- **ლიკვიდურობის რისკი:** რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.
- **საბაზრო რისკი:** რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ანხორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით.

კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

შპს „ბესტსერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით რეგულარული მონიტორინგის საშუალებით.

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. კომპანიას არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხი.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე, კომპანიის მიერ მფლობელზე გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 38 947 ლარი.